შრომითი ურთიერთობისას დასაქმებულის შრომის უსაფრთხოების დაცვის სამართლებრივი მექანიზმების დანერგვა საქართველოში

ნინო ციხისელი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო (ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ამირან მეშველიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული/ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ციხისელი /ნ. ციხისელი/

22.06.2018

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის თემას წარმოადგენს შრომითი ურთიერთობისას დასაქმებულის შრომის უსაფრთხოების დაცვის სამართლებრივი მექანიზმების დანერგვის აქტუალური/პრობლემური საკითხები საქართველოში, ხოლო წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია აღნიშნული საკითხების განსაზღვრა, გამოკვლევა და, შემდგომ, მათი გადაწყვეტის გზების პოვნა და დასაბუთება საქართველოსა და უცხო ქვეყნების კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე.

შრომის სამართალი, რომელიც არეგულირებს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ურთიერთობას, წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს კერძო სამართალში, რომლის ძირითად მარეგულირებელ აქტს საქართველოში წარმოადგენს საქართველოს შრომის კოდექსი. დღესდღეობით, არსებობს არაერთი პრობლემური საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული კოდექსის მიხედვით, ან/და კანონში არსებობს ბუნდოვანი და არასრული ჩანაწერი, რის გამოც საჭირო ხდება ცვლილების შეტანა ან/და სპეციალური კანონით მსგავსი საკითხების დარეგულირება. სწორედ, ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობისას დასაქმებულის შრომის უსაფრთხოების დაცვა, რომლის დასარეგულირებლად შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონი შევიდა ძალაში.

ნაშრომის ფარგლებში, დეტალურად იქნება განხილული საქართველოში არსებული მდგომარეობა შრომითი უსაფრთხოების კუთხით, როგორც შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონის ძალაში შესვლამდე, ისე მის ამოქმედების შემდეგ, თითოეული პრობლემური საკითხი იქნება ნათლად ჩამოყალიბებული, დეტალურად გაანალიზებული პრაქტიკულ მაგალითებთან ერთად და, ბოლოს, ჩამოყალიბებული იქნება ერთიანი პოზიცია მათი გადაწყვეტის მიზნით, ასევე არგუმენტირებული და მკაფიო დასაბუთება, რათა სწორად იქნას გაგებული როგორც პრობლემის არსი, ისე მისი გადაწყვეტის გზები, რომ შრომითი უსაფრთხოების დარეგულირებამ მინიმუმამდე

შეამციროს უბედური შემთხვევების არსებობა, არსებული არასწორი რეგულაციებისა და პრაქტიკის შეცვლის შედეგად.

Abstract

The topic of the Master's Thesis is the current/problematic issues in the implementation of the legal mechanisms for the protection of the employee's labor security in Georgia and the purpose of the presented paper is to identify, examine, and to find ways of their solution according to the legislation and judicial practice of Georgia and foreign countries.

Labor Law is one of the most important issues in Private Law, which regulates the relationship between an employer and employees. The main regulatory act in Georgia is the Labor Code of Georgia. Nowadays, there are many problematic issues that are not covered by the Labor Code and / or there areunclear and incomplete records in the law. Thus, it is necessary to change and / or adjust unclear issues with special law. Nowadays, one of the most problematic issues is the protection of the employee's labor security in Georgia. Hereof, the law about labor security has come into force.

The present Thesis includes a detailed assessment of the situation in Georgia about labor security, before and after the effective date of the law. Each of the issue will be given clearly, with its detailed analysis according to practical examples. At the end, there will be given a position how problems can be solved and to make further adjustments to the employment security to minimize the issues of wrong practices and regulations, which leads to accidents.